კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება.

წელიწადი მესამე. წელიწადი მესამე.

თებერვალი 1. № 3.

შინაარსი:

ვ. რცხილაძე..... რა გავდენა აქვს ადამიანს მცენარეთა და ცხოველთა სამეფოზე..... 3
მღ. ა. ჯალიაშვილი ფუტკრის ძებნა ტყეში..... 4
პ. მელია..... ხიდის ტექნიკური დამუშავება და მისი მნიშვნელობა 6
ნ. ყავრიშვილი... კარგი მეწველი ძროხის ნიშნები..... 8
გ. ნახუცრიშვილი. ხიდის მოუსავლობის მიზეზები 9

კითხვა—პასუხი:

ილ. გვარამაძე.... კითხვა 11
რედაქციისაგან.... პასუხი 12

ს. კახელიძე..... იაფი სესხის საჭიროება სოფლად.....12

განცხადება 16

ტფილისი, 1911 წ.

Тифлисская Городская публичная имени А. С. Пушкина

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეურნეო ჟურნალი

მოსავალი

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

წარსულ წელს ჟურნალში დაიბეჭდა წერილები შემდეგი პირებისა:—ახოშვილი ვ., ანაზღეული, ახალაია ი., ბერეკაშვილი კ., გულბაათიშვილი ვ., გვარამაძე კ., გორთამაშვილი ვ., ედილაშვილი ზ., ვაჭრიშვილი ვ., თაქთაქიშვილი გ., თოიძე გ., იოსელიანი ე., კახელიძე ს., კარბელაშვილი ელ., კარალელი ვ., მაჩაბელი ა., მღებვანი ღ., მჭედლიშვილი ვ., ნახუცრიშვილი გ. ონიკოვი კ., როლოვი ა., რცხილაძე ვ., რცხილაძე სტ. ვ., რცხილაძე სტ. გ., ფურცელაძე ი.,, ფალავანდიშვილი ღ., ქუთათელაძე ი., ქათამაძე ვ., ქარცივაძე მ., უიფიანი პ., ჩივაძე გ., ცხადაძე გრ., ხუნდაძე ს., შავლიევი პ., ჯანაშვილი მ., ჯიქია ლ., კახელი მევენახე, სემიონოვი ექიმი.

რედაქცია მოელის თანამშრომლობას სხვებიდანაც.

თანამშრომელთა საყურადღებოდ.

ჟურნალის შემოსავლიდან გაისტუმრება ხარჯი სტამბისა და კანცელარიისა, დანარჩენი (თუ რამე დარჩა) წლის დამლევს დაურიგდებათ თანამშრომლებს პროპორციულად მათი ნაშრომისა.

დასაბეჭდად მიღებული წერილები შეიძლება რედაქციამ შეასწოროს და შეამოკლოს. წერილები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, არც შეინახებიან დასაბრუნებლად.

რედაქცია მზათ არის აღმოუჩინოს „მოსავლის“ მკითხველებს ყოველ გვარი შუამავლობა სამეურნეო იარაღებისა და მაშინების და აგრედვე ყველა სამეურნეო ნაწარმოებიეძენა-გასაღებაში.

განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე. ჩვეულებრივი სტრიქონი (ვწნური ან აკადემიური ასოთი) განცხადებისა ღირს **ორი შაური.**

წლიური აბონემეტებისათვის განცხადების ფასი რედაქციასთან **შეთანხმებით.**

განცხადების ფასი წინდაწინვე უნდა იყოს წარმოდგენილი.

თუ შეძლება ექნება რედაქციას, ჟურნალის ხელისმომწერლებს წლის დამლევს **გაუგზავნის უფასოდ დამატება-ბროშურას** მეურნეობის რომელიმე დარგის შესახებ.

ჟურნალი წელიწადში ღირს 3 მანეთი.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Барятинская, 5. «МОСАВАЛИ».

რედაქტორ-გამომცემელი ვ. ი. რცხილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა გავლენა აქვს ადამიანს მცენარეთა და ცხოველთა სამეფოზე

ბრძოლას არსებობისათვის თვით ადამიანთა შორის ჩვენ აქ არ შევეხებით. ამ წერილში ჩვენ გვინდა მხოლოდ იმაზე ვილაპარაკოთ, თუ რა გავლენა აქვს ადამიანს მცენარეთა და ცხოველთა სამეფოზე.

ჭაობი ადგილების ამოშრობა ხელოვნურად, წყლის დაწყვეტა-გადაგდება რიყის ნიადაგთ გარდასაქცევად, ჰატარა რუებისა და დიდი არხების გაყვანა ველ-მინდვრების მოსარწყავად და სხვა დიდათ სცვლის იმ ადგილების, სადაც ეს ხდება, არე-მარეებში ჰაერსაც და მცენარეთა და ცხოველთა სხვადასხვაობასაც.

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს კაცის მიერ ზოგ მცენარეების ამოგდებას და ზოგის კი გაჩენა-გამრავლებას, სულ ერთია განგებ ხდება ეს თუ შემთხვევით.

ამასთანავე უნდა ვსთქვათ რომ ზედმოქმედება მცენარეთა და ცხოველთა სხვადასხვაობაზე კაცის მხრივ ათასნაირად სრულდება ბუნებაში.

ადამიანი ამრავლებს შინაურ ცხოველების ნახირს, რომელიც ზოგ მცენარეებს მარტო ზევ-ზევით სძოვს და ჰკორტნის და ზოგს კი ძირიანად აგდებს და აფუჭებს.

ადამიანისავე მიზეზით გაჩენილი ჭიამწერნი ზოგ მცენარეებს აპრკოლებენ ზრდაში, რადგან ამ მცენარეებით იკვებებიან, და ზოგთათვის კი თვით ხდებიან საზრდოთ და ამგვარად ხელს უწყობენ მათ გაზრდა-გამრავლებას. წმ. ელენეს კუნწულზე, სადაც საფრანგეთის მეფე იმპერატორი ნაპოლეონი დიდი ასაფლავია, აღარც ერთი ხეებრივი მცენარე არ დარჩა ამოუგდებელი ამ კუნძულზე გადაყვანილი და გამრავლებული თხებისაგან, რამაც, რასაკვირველია, დიდი გავლენა იქონია იქ მყოფ ცხოველების გაზრდა-გამრავლებაზედაც.

ავსტრალიაში მიყვანილი ერთ დროს თეთრი კურდღლის ბაჭიები ისე გამრავლდნენ მოკლე ხნის განმავლობაში, რომ მთელი იქაური მცხოვრებლებისათვის დიდ უბედურებას წარმოადგენდნენ.

ევროპიდან შემთხვევით გადასული ჩრდილოეთ ამერიკაში ერთგვარ პეპელების უდიერმა გამრავლებამ ამერიკის შტატებს სასტიკი საზოგადო ზომებიც კი მიაღებინა ადგილობრივ მცენარეების დასაცველად.

ყველა ზემოხსენებული მაგალითები თვალნათლივ ხდიან იმ დიდ მნიშვნელობას, რომელიც აქვს ადამიანის პირდაპირ ზემოქმედებას მცენარეებზე და ცხოველებზე.

ამ ზედმოქმედების შედეგნი ორგვარად შეიძლება გავყოთ: ერთის მხრით ადამიანს თავისი პირდაპირი ზედმოქმედებით ახალი ელემენტები შეაქვს მცენარეთა და ცხოველთა სამეფოში და მეორეს მხრით კიდე ზოგს ყოფილ ელემენტებთაგან სპობს.

ადამიანის მეოხებით ახალი ცხოველების ან მცენარეების გაჩენა-გამრავლების მაგალითი იქ სადაც წინად არ ყოფილან ეს ელემენტები უთვალავია.

ადამიანმა ევროპიდან ამერიკაში და ამერიკიდან ევროპაში წაღებ-წაყვანით, სხვადასხვა ტბა-ზღვების შეერთებით არხების საშუალებით ბევრი ისეთი მცენარენი და ცხოველნი მოჰფინა მთელ ხმელეთს და გააჩინა-გაამრავლა მდინარეებსა და ზღვა-ოკეანებში, რომელნიც წინად მარტო ერთგან სადმე იყვნენ და სხვაგან არსად.

ევროპიდან ამერიკაში გადაყვანილი ადამიანისაგან ცხენები და რქიანი შინაური საქონელი გაგარეულდნენ და იქაურ უდაბნოებისა და ველ-მინდვრების მცხოვრებლებათ შეიქმნენ.

ახალ ზელანდიის წყლებში ადამიანის წყალობით თევზი ორაგული გაჩნდა, სადაც იგი წინად არ სცხოვრობდა; თაგვი, ვირთაგვა, კუნნის ჭია (таракань) და ბევრი სხვა იქაც ყველგან გავრცელდნენ გამრავლდნენ, საცა წინად სრულებით არ ყოფილან.

მცენარეების წაღებ-წამოღებას და გაშენება-გამრავლებას ხომ ყველა უწყის.

მრავალი მაგალითია აგრედვე იმისიც როგორ იგივე ადამიანის მეოხებით მცენარეთა და ცხოველთა სამეფოში ზოგი წარმომადგენელნი უკვე მოსპობილან სრულებით და ზოგნი მოსპობის გზაზე დგანან დღესაც.

ესეთ სრულიად მოსპობის საუკეთესო მაგალითად უნდა ეგრედწოდებულ ზღვის ძროხების მოსპობა (Rhytina stelleri) ჩაითვალოს. ამ დიდი უშველებელი ტანის ცხოველებს, რომელთაც თავიანთ საუბედუროთ მეტად გემრიელი ხორცი ჰქონიათ, ადამიანი პირველად 1741 წელს შეხვედრია, როცა ზღვებით მოგზაურ ბერინგის ეკსპედიცია მისულა ეხლა ბერინგის სახელით წოდებულ კუნძულზე. ნახვისავე შემდეგ ადამიანს ისეთი ხოცვა-ჟლეტა აუტეხნია ამ ცხოველებისა, რომ 25—30 წლის განმავლობაში ხსენებაც აღარ დარჩენილა მათგან.

აგრედვე ამოწყვეტილან ბუნებაში ადამიანის დევნით ზოგიერთი ფრინველები, როგორც მაგალითად ეგრედწოდებული **დოდო** (Didus eneptus) კუნძულ მავრიკიაზე აღმოჩენილი პირველად მეთექვსმეტე საუკუნეში დიდი ფრინველი მტრედის მოდგმისა, რომელიც თურმე დადიოდა და ვერ კი ფრინავდა, როგორც ეხლანდელი სირაქლემები; უფრთო ფრინველი Alca impennis, რომელიც ძრიელ ყოფილა გახშირებული ანტლანტის ოკეანეს ჩრდილოეთ ნაწილში და სხვა.

ამოწყვეტის გზაზე დაუყენებია აგრედვე ადამიანს ეგრედწოდებული **ბიზონი, ზუბრი**, რომელნიც ეხლა იგივე ადამიანის ხელოვნური მეცადინეობით ინახებიან და აკრძალულია საერთოდ მათზე ნადირობა.

იშვიათი შესახვედრი-ღაა დღეს მარტორქაც, სამხრეთ აფრიკაში მცხოვრებელი; ზოგი ჯიში ვეშაპიც და სხვები.

ვ. რცხილაძე

ფუტკრის ძებნა ტყეში

მეფუტკრეობის ლიტერატურაში ვერსად ვერ შეხვდებით ველური ფუტკრის პოვნა-შეძენას იმ წესით, როგორიც შემოღებული აქვს ზოგიერთს ჩვენს გლეხს—მეფუტკრეს. ზოგნი თუ შემთხვევით პოულობენ ფუტკარს ტყეებში, ზოგს პირდაპირ ხელობათა აქვთ გამხდარი მათი ძებნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიდის იგი ტყეში, სდარაჯობს სადმე წყაროზედ მონაფრენს ფუტკარს და, როდესაც ეს უკანასკნელი დაიტვირთება წყლით და ბინისკენ გაემართება, გლეხიც მისდევს მას კვალზედ და მალეც პოულობს მის ბინას.

მაგრამ ველური ფუტკრის პოვნა-შეძენა უფრო ადვილია გაზაფხულობით და მიწურულს ზაფხულზედ, ან ადრე შემოდგომაზედ, როდესაც ტყე-მინდორში აღარ მოიძებნება თაფლი.

საზოგადო კანონია, რომ, როდესაც ფუტკარი მინდორში უხვად პოულობს თაფლს, მაშინ, სკის წინაც რომ მიუდგათ თაფლი, იგი ზედაც არ შეხედავს ამ თაფლს, — ის სისწრაფით გარბის მინდორში, სადაც ნეკტარიანი ყვავილები ეგულება. ხოლო, როდესაც ყვავილები ხმება და გაფიტული მინდორი ჩვეულებრივ ველარ უმასპინძლდება სურნელოვანი ნეკტარით თავის ხშირ სტუმარს—ფუტკარს, მაშინ ეს უკანასკნელი ბრაზობს, ღობე-ყორეს ედება სარჩოს საპოვნელად. ასე გასინჯეთ, ეს დიდ-სახელოვანი და პატივდებული მწერი ამ დროს ქურდობასაც და აშკარა ყაჩაღობასაც-კი აღარ უკადრისობს: ათასჯერ მიბზუკუნდება იგი მეზობელ სკებთან, ოსტატურად სინჯავს მათ სიმაგრე-სიძლიერეს და ვაი იმ ოჯახს, რომელსაც კი სისუსტეს, ან ობლობა-უდედოობას შეატყობს! თავგანწირულად მიიჭრება იგი ასეთს სკაში, ხარბად იტვირთება უცხო სარჩოთი და სწრაფად გადააქვს თავის ბინაზედ. ამით არა კმარობს ეს მოუსვენარი მწერი: ამას მთელი სარჩოს დაპატრონება სწადიან და თავის სკაში გადმოზიდვა, მაგრამ რა ქნას, მარტომ როგორ შესძლოს ეს! აქ სხვების დახმარებაცაა საჭირო. ამისათვის მას დაუყოვნებლივ სხვა თავის ერთ-მოსახლე ფუტკრებიც მიუდის ამ დაბრიყვებულის სკის წინააღმდეგ და მცირე შეტაკების შემდეგ მთლად ეპატრონებიან ამ ოჯახის სარჩო-საბადებელს და გადმოაქვთ იგი თავის სკაში.

ასევე იქცევა ფუტკარი ყოველს შემთხვევაში, თუ კი სადმე შეიგულა თაფლი.

მეფუტკრე—მონადირეც მშვენივრად სარგებლობს ფუტკრის ასეთი ზნე-ხასიათით: გაზაფხულზე ან ადრე შემოდგომაზე, როდესაც მინდორში ღალიანობა შეწყვეტილია, მიდის იგი ტყეში, სადაც, რასაკვირველია, ფუტკარი ეგულება, და სადმე წყაროსთან სდგამს თაფლიან ჯამს. ამავე დროს ნაკვერჩხლებზე აკმევს ძველს ფიჭებს, რომ მიდამოს სანთლის სუნი მოეფინოს და მით მიიზიდოს ფუტკარი. გავიდა რამოდენიმე ხანი და აგერ მართლა გამოჩნდა საღერღელ აშლილი ფუტკარი. სიფრთხილის ნიშნად ერთი ორჯელ კი შემოუბზუვლა თაფლიან ჯამს და მერე ხარბად წაყო თაფლში თავისი ხორთუმი. გაძღა ნაცარა; გადაისვა ულვაშებზე პაწია თათები და აიმართა წელში. აფრინდა კიდეც ჰაერში, თითქო შეამოწმა ტვირთი, მძიმე ხომ არ მომდისო, და კვლავ დაუბრუნდა ნაპოვნს სარჩოს, რამდენჯერმე კიდევ აილოკა ჩვენი მსუნაგი და ბოლოს აპროწიალდა ჰაერში და შურდულის ქვასავით გაემართა სახლში.

ჩვენ დარაჯ-მონადირესაც როდი სძინავს. ღებს იგი თაფლიან ჯამს და 15—20 საჟენის მანძილზე გადააქვს იმ მხარეზე, საითაც გაფრინდა ფუტკარი. არ გასულა რამდენიმე წუთი და

სადაც პირველად იდგა თაფლიანი ჯამი რატო ოცამდე და უფრო მეტი ფუტკარი არ ირევა!—ესენი პირველი ფუტკრის მოწვეულნი ბრძანდებიან, მაგრამ დახე ილბალს—იქ თაფლი აღარსად არის. მოპატიჟე სირცხვილში ვარდება, მზადაა ბოდიში მოიხადოს დობილების წინაშე მოტყუებისათვის, მაგრამ ეს თაფლის სუნი რომ მოსდით მათ საიდღამაც! დაფაცურდნენ მოუსვენარნი და აკი მიაგნეს კიდეც თაფლის ჯამს! აქაც დაიტვირთნენ იგინი თაფლით და იმავე წესით გაემართნენ ბინაზე.

ჩვენმა მეფუტკრემაც გადაინაცვლა ადგილი თავისი თაფლიანი ჯამით, საითაც ფუტკრები გარფრინდნენ, ხოლო ეხლა უფრო მეტ მანძილზე.

მესამეჯერ უფრო მეტი ფუტკარი მოფრინდა, კვლავ მიაგნეს გადანაცვლებულს ჯამს, დაიტვირთნენ თაფლით და ძველებურადვე გაემართნენ თავიანთ სკაში. მეფუტკრემ კიდევ გადაინაცვლა წინ, კიდევ უფრო დიდი მანძილით.

ამ გვარის თანდათანობით მეფუტკრე ზედ ადგება ფუტკრის მოსახლეობას და ხდება მისი პატრონბატონი.

მღვდ. ალ. ჯალიაშვილი

ხილის ტეხნიკური დამუშავება და მისი მნიშვნელობა

მე მინდა ვუამბო მკითხველს რა მნიშვნელობა აქვს სოფლისთვინ ისეთ უბრალო საქმეს როგორიც არის ჩირის მომზადება.

ზაფხულობით სოფელს აუარებელი ხილი აქვს, რომლის უმეტესი ნაწილი ლპება, იკარგება უბრალოთ, ხალხში ციებ-ცხელებას აჩენს და მხოლოდ ზოგიერთგან ახერხებენ გამორჩომას იმით რომ საქონელს აჭმევენ.

არც შემოდგომა-ზამთრის ხილია უკეთეს პირობებში.

როცა კარგი მოსავალია ბაზარი ამ ხილით მალე ივსება, იაფდება და ჩარჩებსა რჩებათ მუქთად.

ასეთი შედეგი პატრონსაც გულს უცრუებს და თუ კიდევ მაინცა და მაინც მისდევს ხილის გაშენებას და არ ანებებს თავს, ეს იმითი აიხსნება უფრო რომ ხალხი ინსტიქტიურად გრძნობს ხილის იმ დიდ მნიშვნელობას, რომელიც მას ადამიანის ჯანის სიმრთელისათვის აქვს, როგორადაც საკვებავს.

ნამდვილად კი ხილს, თუ კი მისი მოშენება-მომზადება მეცნიერულ ნიადაგზე იქნება დაყენებული, დიდი მერმისი მოელის ჩვენში და რაც ადრე მივაქცევთ მეურნეობის ამ დარგს ჯეროვან ყურადღებას, იმდენი კარგი იქნება ჩვენი ხალხის კეთილდღეობისათვის.

დიდი სამსახური შეუძლიან გაუწიოს ამ საქმეს ჩემის აზრით კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ პატარ-პატარა იაფ-ფასიანი წიგნაკების გამოცემით და ინსტრუქტორების დანიშვნით თუ მუდმივ არა იმ დროისათვის მაინც, როცა ესა თუ ის ხილი მწიფდება.

ჯერ-ჯერობით ხალხს უნდა ხილის **პრიმიტიული გადაკეთება** მაინც დავასწავლოთ, რომ გადაარჩიოს და გაყიდოს ბაზარში რაკ გაიყიდება როგორც ნედლი ხილი, და დანარჩენი უვარგისი კი გაავარგისიანოს და ფასი დასდოს.

რომ ხილის ტეხნიკურად გადაკეთებას ჩვენში დიდი მნიშვნელობა მიე-

ცემა როგორც მრეწველობას მომავალში, ამაზე საუბარს მე აქ არ გავაბამ. ვიტყვი მხოლოდ რომ ხილის მომყვანმა მარტო ერთი მეათედი უვარგისი ხილისა, რაც ჭიანაჭამია ან ქარისაგან არის გაყრეინებული, რომ გადააკეთოს ტეხნიკურად, ამით თავის წლიურ შემოსავალს სულ რო ნაკლები ვსთქვა ერთი ორად მაინც გახდის.

ამ მოკლე წინასიტყვაობის შემდეგ მე მინდა ჩემ მკითხველს ხილის ტეხნიკური გადაკეთება ვასწავლო.

დავიწყობ ჩირის მომზადებიდან.

ვაშლის ჩირი

ხილის ჩირად გადაკეთებაში უმთავრესი ის არის რომ ხილს სითბოს ზედგავლენით სინესტე (მეტი წყალი) გამოვაცალოთ, მხოლოდ ისე კი, რომ დანარჩენი მისი ღირსება შიგ დარჩეს უკლებლივ.

ჩირათ გამოდგება ყველა ჯურა ვაშლი (წვრილი, მსხვილი) რომელსაც აქვს გემო მჟავე ანუ მჟავა-ტკბილი. საჩირე ვაშლი უნდა გაირეცხოს ცივი წყლით, გაამშრალოთ სუფთა ტილოთი და შემდეგ კანი შემოაცალოთ.

კანის შემოცლა შეიძლება უბრალო დანითაც ხოლო რადგან დანით გაფცქვნაში ვაშლის კანს ხორციც ბევრი გადადევს და იკარგება ტყუილად, ამიტომ გასაფცქვნელად განგებ ამისათვის მომზადებულ **საფცქვნელ** დანას ხმარობენ.

საუკეთესო ღირსების დანა Unicum ღირს 8 მან. 50 კაპ... კანის შემოცლის შემდეგ ვაშლს გული უნდა ამოერთვას. გულის ამორთმევა ხდება შემდეგის წესით: უნდა ავიღოთ თეთრი თუნუქის მილი განგებ ამ მიზნისათვის გაკეთებული, სიგრძე მილს უნდა ქონდეს სამი-ოთხი ვერშოკი და სიგანე კი ვაშლის სიდიდეზეა დამოკიდებული, უნდა არა ნაკლებ მეოთხედი ვერშოკისა იყოს. ასეთი მილი რომ შეურჭოთ გაფცქვნილ ვაშლს ყუნწიდან და გარედ გაახედოთ, ვაშლს გული და თესლები გაეცლება.

ამ უბრალო მილის გარდა ვაშლის გულის გამოსაცლელად ერთგვარი მაშინებიც არის გამოგონილი. ამ მაშინებში საუკეთესო მაშინათ ითვლება ეგრედწოდებული **„გერცოგის მაშინა“**, რომელიც სხვადასხვა ფასისა კეთდება 7 მ. 50 კ.-დან დაწყობილი ვიდრე 30 მანეთამდე.

გულის ამოღების შემდეგ ვაშლი უნდა **დაიჭრას** მომრგვალო ნაჭრებათ. დაჭრა შეიძლება უბრალო დანითაც მხოლოდ ამ ნაჭრებს უსათუოდ ერთნაირი სისქე უნდა ჰქონდეთ, რომ თანაბრად გაშრნენ. ვაშლის ასე **დასაჭ**რელათ მაშინებია გაკეთებული. საუკეთესო დასაჭრელი მაშინა **რაისის** მაშინაა, რომელიც 12—15 მანეთი ღირს. დაჭრილი ვაშლი უნდა ჩაიყაროს განგებ ამისათვის თეთრ მართუ-ლებისაგან მოწნულ კალათებში ორი ვერშოკის სისქეზედ და ეს კალათები ვაშლებიანათ მდუღარე წყალში ჩაიშვას 2—3 მინუტით. მდუღარე წყალში ვაშლი გაითუთქება და მერე ადვილად გაშრება კარგად. გათუთქული ვაშლის ნაჭრები საცერზე ან ცხავზე უნდა დაიწყოს ჰაერში ათი მინუტით და შემდეგ გოგირდით დაებოლოს. გოგირდით დაბოლება ასე ხდება: ამზადებენ ისეთ შკაფს, რომ სიგანე-სიღრმე 12 ვერშოკი ჰქონდეს, სიმაღლე არშინ ნახევარი და შიგნით თაროები. შკაფი

უნდა გერმეტიულად (ი. ე. მჭიდროდ, რომ ჰაერი ვერ შეეიდეს) იკეტებოდეს. შკაფის თაროებზე დასდებენ ცხრილებს ვაშლებით და ქვეშიდან შეუდგამენ პატარა ჯამით გოგირდს ცეცხლ მოკიდებულს. გოგირდის ბოლში ვაშლი რჩება ასე 3 –10 მინუტი. საუკეთესო დასაბოლებელი შკაფი **ციმერმანისა** არის და ღირს 15 მანეთი.

საჩირე ვაშლს უნდა დაებოლოს, იმის შემდეგ როცა მას მზეზე გაშლით ან თონეში გაშრობით მუქი ყავის ფერი დაეედება.

პ. მელია

(გაგრძელება იქნება)

კარგი მეწველი ძროხის ნიშნები

ძროხა კარგია რომელიც ბევრს იწველის. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს ჯიშს, მოვლას, საჭმელს; ხოლო ყველა ეს საკმარისი არ არის. ზოგჯერ რა ჯიშისაც გინდა იყოს ძროხა, როგორც გინდა აჭამოთ, მოუაროთ, თუ მოდგმა არა აქვს შესაფერი, ის მაინც ბევრ რძეს არ მოგცემთ. კარგ მერძეულ ძროხას თავისი განსაკუთრებული ნიშნები აქვს. უპირველესად ყოვლისა იგი ლამაზი უნდა იყოს. ძროხის სილამაზე მის კარგ მეწველობასაც ამტკიცებს. რაც უფრო ძვალწვრილია ძროხა (ეს სხეულის ამოშვერილ ძვლებზე ეტყობა, როგორც მაგ. კუკუხოების ძვლებია ღა სხვა), იმდენი იგი უფრო კარგი მერძეულია. კარგი მერძეული ძროხა უკანა მეჯებთან გაცილებით განიერია, ვიდრე წინა მხრებში. თავი აქვს პატარა, ლამაზი, ქალური შეხედულებისა (ზოგ ძროხას ჩვენში „ქალიას“ არქმევენ სახელად ხსენებულ მიმგზავსებისა გამო), ფეხები წვრილი ლამაზათ ჩამოსხმული და პატარა რქები.

კარგ მერძეულ ძროხას კუდი გრძელი აქვს, ბალანი მთელ ტანზე მოკლე, ხშირი, ბეწვი დაწმენდილი ფერირისა და უნდა უბწკინავდეს. კუკუხოსთან კუდს უნდა თხელი, ნაზი კანი ჰქონდეს გადაკრული და ბლომად ეკეცებოდეს.

მერძეული ძროხის ამოცნობაში დიდი მნიშვნელობა აქვს ცურს. კარგ მერძეულ ძროხას ცური გარეგანი შეხედულებითაც დიდი უნდა ჰქონდეს, ძუძუები ერთიერთმანეთიდან შორიშორს ესხდნენ თანაბრად და მოკლე ნაზი ბალნით იყოს თხლად შემოსილი. როცა ცური რძით არის გატენილი უნდა ქვეეიდან მორგვალებული იყოს და ზედ ბლომათ ჩასდეედნენ მსხვილ-მსხვილი სისხლის მილები ეგრედწოდებული **ვენები.** ცურის სიდიდე მის დიდ მერძეულობას ამტკიცებს, ამიტომ რაც უფრო შორს გადის ეს ცური წინ მუცელზე და უკან,—იმდენად ძროხა კარგი მერძეული უნდა გამოდგეს. ძუძუები მოყვანილობით უნდა ძირს დაბრუნებულ შაქრის თავებს გვანდნენ და ცოცხლად ისხდნენ ცურზედ. ზოგ ძროხას ოთხი კარგად განვითარებულ ძუძუს გარდა ორი კიდევ სხვა ძუძუ აქვს ხოლმე. ეს კარგი მერძეულობის ნიშანია. მოკლე ძუძუები უფრო ცუდი მერძეულობის ნიშანია და არც მოსაწველად არიან კარგი.

ცური უნდა იყოს რბილი და თხელკანიანი. ხელით რომ გამოსწევთ ცურის კანს უნდა ადვილად მოგყვეთ ხელში და გრძლად გამოიჭიმოს შედარებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინააღმდეგ შემთხვევაში ცური ან მტეხორციანია, ან სიმსუქნე აკრავს სქლად: არც ერთი, არც მეორე მერძეულობის კარგ ნიშანს არ წარმოადგენს.

როცა კარგად გამოიწველება ძროხა, თუ კარგი მეწველია, ცური ძაან უპატარავდება, დაცარიელებულ პარკს მიუგავს მრავალ ნაკეცებათ შეკეცილს. სიმრავლე ამ ნაკეცებისა უფრო უკანიდან უნდა ეტყობოდეს ცურს და როცა ხელით გამოსწევთ, რაც უფრო მეტად გამოიწევს, იმდენი უფრო საიმედო იქნება რომ ძროხა კარგი მეწველია.

გარედ მუცელზე ცურიდან წინა ფეხებისაკენ ძროხას სისხლის მილებთა შორის ერთი მსხვილი ვენა ჩასდევს. რაც უფრო გრძელია ეს ვენა და სქელია, იმდენი უფრო კარგი მერძეულია ძროხა.

კარგი მერძეული ძროხა წველვაში ცოტა გამხდარია ხოლმე, რადგან მეტი წილი საჭმელი რასაცა სჭამს რძეთ გადაკეთებაზე იხარჯება; ამიტომ როცა ძროხა წველვაშია, ალაგ-ალაგ კანი დანაოჭებული აქვს, მეტადრე კისერზე. რაც უფრო მეტია ეს ნაოჭები, იმდენი უკეთესი მეწველი ყოფილა ძროხა.

ჩამოთვლილ ნიშნების გარდა კარგ მეწველ ძროხას უკანა ფეხები უნდა განი-განე ედგეს, რომ ცური ლაჯებ შორის ხალვათად იყოს. ლაჯებ განიერი ძროხა უფრო ადვილად შობივრობს და ამიტომ მოსაშენებლადაც მაშ კარგი იქნება.

კარგ მეწველ ძროხას გულმკერდი უნდა განიერი ჰქონდეს და მუცელი დიდი.

გულმკერდის სიდიდე ჯანსაღიანობის ნიშანია და დიდი მუცელი კიდე იმისი რომ ბევრი საჭმელის მიღება შეეძლება და ბევრ საჭმელს ბევრი რძე მოსდევს.

ნ. ყავრიშვილი.

ხილის მოუსავლობის მიზეზები

ხეხილის მოუსავლობის მიზეზები ბევრგვარია, მაგრამ რადგან ყველა მათი ჩამოთვლა შეუძლებელია და წერილსაც მეტად გააჭიანურებს, ამისათვის ვეცდები მხოლოდ უმთავრეს მათგანზედ მოველაპარაკო **„მოსავლის“** მკითხველს.

ხეხილის მოუსავლობა წარმოსდგება შემდეგი მიზეზებისაგან.

1—მაგალითად თუ სანამყენე ძირებისათვის ჰხმარობთ შემოუსვლელ თესლს. როდესაც ამ გვარი თესლისაგან ამოსულ ნერგზედ თქვენ ამყნობთ რომელიმე ჯურა ხილს, მაშინ თუმცა ნამყენი იხარებს და გაიზრდება კიდეც, მაგრამ ბოლოს სხმოიარობას კი არ გამოიჩენს.

2—ზოგიერთა სანერგეს პატრონებს ძლიერ უყვართ თავიანთი სანერგის უხვად გაპატივება. რასაკვირველია ამ შემთხვევაში ნამყენები თამამად იზრდებიან, მაგრამ როდესაც ამ სანერგედან საბოლო ადგილში გადაგაქვთ და თუ ამ ახალ ადგილზედაც ისეთივე ნოყიერი მიწა არ შეხვდა, როგორშიაც ისინი წინათ იზრდებოდნენ, მაშინ ცხადია იმათგან კარგ მოსავალს არ უნდა მოელოდეთ. მაშასადამე როდე-

საც თქვენ ხეხილსა ჰყიდულობთ, საჭიროა იკითხოთ თუ როგორ მიწაში იზრდებოდნენ, ნოყიერი იყო ზეადაგი თუ ღარიბი. ამის მიხედულობით საჭირო იქმნება თქვენი საბაღე ადგილის დამზადებაც.

3—მყნობასაც დიდი გავლენა აქვს ხეხილის მსხმოიარობაზედ. ზოგიერთა მყნობელი ყურადღებას როდი აქცევს სამყნობ მასალის არჩევას, მაგალითად კვირტებს ან კალამს. ხშირად თამამ ნერგზედ სუსტი ხიდად აღებულ კვირტს ან კალამს ამყნობენ. შეიძლება ნამყენმა მშვენივრადაც იხაროს, მაგრამ მსხმოიარე ხე კი არ გაიზრდება.

4—არიან ისეთი მამულის პატრონებიც, რომლებიც სიხარბის ან უცოდინრობის მიზეზით ხშირათა რგავენ ხეხილს. მართალია ვიდრე ხეები დაიზრდებიან სიხშირეს არავითარი ზიანის მოტანა არ შეუძლიანთ, მაგრამ ბოლოს როდესაც წამოიზრდებიან და ტოტები ერთმანეთში გაეხლართებათ, მაშინ ზოგიერთა მათგანი, რომელიც დანარჩენებს ჩამორჩება ზრდაში, სულ მუდამ ჩრდილ ქვეშ იქმნება დაფარული. ამნაირად დაჩრდილული ხეხილი ყველამ კარგათ იცით ან სულ არ მოისხამს ნაყოფს ან ძალიან ცოტას და ცუდი თვისებისას.

5—ადგილის მდებიარობასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ხეხილის მსხმოიარობაზედ. თუ ხეხილის ბაღი დაჩრდილულ ალაგას არის გაშენებული, მაშინ როგორც ზევით მოვიხსენიეთ იმისაგან ზარალის მეტს არას უნდა მოველოდეთ.

6—მაღლობ იმდებარეობაც გამოუსადეგარ ადგილებათ უნდა ჩაითვალოს, რადგან გაზაფხულის სუსხიანი ქარი ხშირად აფუჭებს სანოყოფე კვირტებს, რომლებზედაც დამოკიდებულია ხეხილის მსხმოიარობაც.

გარდა ამისა ქარისავე მიზეზით ყვავილის მტვერი რიგზედ ვერ ჰხვდება სანაყოფეს, ნაყოფი არ ინასკვება, ვერა მთავრდება. ამის შედეგია დაუმთავრებელი ნაყოფის ჩამოცვივნაც.

7—არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს მიწის თვისებას. გამოფიტულ მიწაზედ დარგული ხე რა თქმა უნდა ნაყოფს არ მოგცემთ. აგრეთვე ნაყოფს არ მოგცემთ ის ხეხილებიც, რომელნიც სანერგეში მსუქან მიწაში გაიზარდნენ და შემდეგ კი ღარიბ მიწაზედ მოუხდათ ცხოვრება.

8—არის ისეთი მიწაც, რომელსაც მხოლოდ ზემოდგანა აქვს სინოყივრე, სიღრმეზედ კი ქვა-ქვიშისაგან შესდგება. აი ამ გვარ მიწაზედ დარგული ხეხილი, პირველ ხანს თუმცა კარგად დაიწყებს ზრდას და ნაყოფის მოცემასაც, მაგრამ როდესაც იმისი ფესვები მიწის ნოყიერ შრეს დასცდებიან, მაშინ ისინი ზრდასაც უკლებენ და მსხმოიარობასაც. უფრო კი წელიწად გამოშვებით იციან ნაყოფის მოცემა. ამგვარ ხეხილს ჩვენ **მეწლეულებებს** ვეძახით.

9—თუ მიწა დიდი ხნობით დაუბარავი დარჩა და დაყამირდა, ეს გარემოებაც ცუდაც მოქმედობს ხის მსხმოიარობაზედ. ერთი სიტყვით როგორც ღარიბი მიწა არ ვარგა, აგრედვე მეტის მეტად მსუქანი ადგილიც მავნებელია ხეხილებისათვის.

როგორც დაინახეთ ხეხილის მოუსავლობის მიზეზები ბევრგვარია. ცხადია, მათთან ბრძოლაც სხვადასხვა ნაირი უნდა იყოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ისიც უნდა იცოდეთ, რომ შეიძლება მებაღეობაში ისეთი მიზეზებიც შეგხვდეთ, რომლების თავიდან მოშორება პირდაპირ შეუძლებელი გახდეს თქვენთვის.

მაგალითად თუ მოუსავლობის მიზეზი დამოკიდებულია ადგილის მდებიარობაზე ან თვით ნამყენის უვარგისობაზე.

მაგრამ არის ისეთი მიზეზები როგორც ზევით მოვიხსენიეთ, რომლების თავიდან აცილება ყოველთვის შეიძლება, თუ კი მებაღე გონივრულად შეუდგება თავიდან საქმის დაწყობას. მაშინ ხომ ამდენი თავში სახლელიც არა ექმნება რა.

მაინც ურიგო არ იქმნება, რომ ორიოდე სიტყვა ვსთქვა ზოგიერთა საიმედო საშუალებებზე.

1. თუ დააკვირდებით, ყველა ხეზედ შეჰნიშნავთ მოგრძო ყლორტებს, რომლებსაც მარტო ფოთოლი გამოაქვთ და ყვავილს კი იშვიათად იძლევიან. ამნაირი უნაყოფო ყლორტები უფრო იმ ხეს გამოაქვს, რომელიც არ ისხავს.

აი ამის თავიდან ასაცილებლად, ე. ი. ფოთლის კვირტები რომ საყვავილე კვირტებათ გადაიქცეს, საჭიროა ამნაირი ტოტების შუაზე გადამტვრევა. ეს სამუშაო უნდა გაკეთდეს თიბათვის ნახევრიდან მკათათვის ნახევრამდის. ყლორტი უნდა მოამტვრიოთ ხელით, ისე რომ მეორე ნახევარი ხეზედვე დარჩეს. ამ საშუალებით ქვეითა ტოტები ორი წლის განმავლობაში უსათუოდ საყვავილე კვირტებათ გადაიქცევიან. მხოლოდ ყლორტების მომტვრევა შეგიძლიანთ მოახდინოთ მარტო ვაშლსა და მსხალზე.

კურკიან მცენარეებზე, როგორიც არის ატამი, გარგარი, ბალი და სხ. არ შეიძლება, რადგან ამ უკანასკნელებს მონატეხ ადგილებიდან წებო გამოსდით ხოლმე, რომელიც პირდაპირ ავადმყოფობას წარმოადგენს.

2. არის კიდევ ერთგვარი საშუალება სახელდობრ ძირების დაჭრა. მაგალითად თუ თქვენი ხე თამამად იზრდება და ამის მიზეზით ნაყოფს არ გაძლევთ, მაშინ ასე უნდა მოიქცეთ: ხეხილის გარეშე ტოტების სიგანეზე უნდა მოსთხაროთ არხი. არხის ამოღების დროს რაც კი ფესვები შეგვხვდებათ ხეხილის გარშემო, საჭიროა დააჭრათ. მორჩებით თუ არა ფესვების დაჭრას შემდეგ ამ ფესვებს ბოლოებს გალესილი დანით მოუსწორებთ. ეს იმისათვის რომ ფესვმა ლპობა არ დაიწყოს. შემდეგ საჭიროა მიწის მიყრა, მხოლოდ საჭიროა შიგ ძველი საქონლის ნეხვს გარდა, ცოტა კალინარევი და ფოსფორნარევი სასუქიც გაურიოთ და ასე შეზავებული მიწით ამოავსოთ არხი.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ხეხილის წესიერ გასხვლასაც, მაგრამ ამაზე შემდეგ.

გ. ნახუცრიშვილი.

კითხვა—პასუხი

კითხვა იქნება პატივცემულმა რედაქციამ არ დაიზაროს და საფოსტო ჟურნალის განყოფილებით პასუხი მომცეს ამ კითხვაზედ:—1) სად შეიძლება შეძენა „სუფერფოსფატისა“ ან „ტომასშლაკისა“ და რა ღირება ფუთი; 2) რა დროს და რა ნაირად უნდა მოეყაროს ნიადაგს მიწის გასაპოხიერებლად და-

ბარვის დროს, მერე დაბარულზედ ან მოხნულზედ, თუ როდესაც მცენარე ამოსულია უკვე; 3) რამდენს წელიწადს ჰყოფნის ერთი მოყრა, ერთს თუ ორს და 4) არგებს რასმე ხეხილის ბაღს თუ არა. თუ არგებს და არ ავნებს, როგორ უნდა მოეყაროს: ძირებთან, თუ საერთოდ მთელ ბაღს? ეს კითხვები დამებადა **„მოსავალის“** პირველ ნომერში დაბეჭდილი წერილის „ხელოვნური სასუქის საერთოდ შეძენა“-ს წაკითხვის შემდეგ.

ილ. გვარამაძე.

პასუხი იხილეთ ვ. შ.—ელის წერილებში: „სასუქი და იმისი მნიშვნელობა“ **მოსავალი**. 1909 წ., №№ 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 9, 10, 12, 13. ტომასშლაკი და სუპერფოსფატი კავკ. სამეურნეო საზოგადოების საწყობიდან შეგიძლიანთ გამოიწეროთ.

ტომასშლაკი ღირს ფუთი.. 60 კ.
სუპერფოსფატი „ „... 1 მ. 15 კ.

რედ.

იაფი სესხის საჭიროება სოფლად

(შემდეგი*)

სარგებლის დანიშვნა სესხზე

სესხში ამხანაგობა ახდევინებს სარგებელს, რომელიც შეადგენს **ამხანაგობის** მოგებას. სარგებლის **რაოდენობა** დამოკიდებულია თვით ამხანაგობაზე, ესე იგი რამდენიც **უნდა** (12%-დე კი), იმდენს გადასწყვეტამს სარგებელს. შეუძლიან დაადგინოს სარგებელი 7,8,9 ან 10%. თუმცა ამხანაგობის მიზანია, რაც შეიძლება იაფად ასესხოს ფული თავის წევრებს, მაგრამ პირველად, როდესაც მას ჯერ საკუთარი თანხები არ ექნება და ნასესხებ თანხებში თვით ამხანაგობავე იხდის სარგებელს, იმდენი სარგებელი უნდა გადაახდევინოს წევრებს სესხში, რომ შესძლოს ყველა ხარჯების დაფარვა (სახლის ქირა, წიგნების და სხვა წვრილმალი ხარჯები), სახელმწიფო ბანკის ვალის გასტუმრება და საკუთარი თანხის შეგროვებაც. პირველად ამის გამო შეიძლება სესხში გადახდეთ 12% ანუ თუმანზე თვეში ორი შაური. რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ამხანაგობა მოგებიდან შეაგროვებს საკუთარ თანხას, შეიძლება სარგებლის დაკლება 7 ან 8%-დე, მხოლოდ ამის შესახებ წვრილი კრედიტის საგუბერნიო კომიტეტს უნდა ეცნობოს.

როგორც ზევითაცა ვსთქვი, სესხი გააქვთ წევრებს სხვადასხვა ვადით. თუ ვინიცობა წევრმა ფული ვადაზე არ დააბრუნა, ამხანაგობას შეუძლიან ძალით გადაახდევინოს ფული. ამისთვის ამხანაგობამ უნდა ქალალდი მისწეროს მამასახლის, რომელიც მოვალეა აუწეროს წევრს ქონება, შვიდი დღის განმავლობაში გაუყიდოს და აღებული ფული ამხანაგობას დაუბრუნოს. ასეთი ღონისძიება იხმარება, რასაკვირველია, იმ უსვინდისო წევრის წინააღმდეგ, რომელიც შევა ამხანაგობაში წევრად, ფულს გაიტანს და უკან კი აღარ დაუბრუნებს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი უსვინიდისოა და გაკვრაგაგლეჯაზე უჭირავს თვალი. ხოლო თუ წევრმა რაიმე შესაწყნარებელი მიზეზის გამო (მაგალითად ან ოჯახში

*) იხილე **„მოსავალი“** № 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუკვდა ვინმე, ან საქონელი დაეხოცა, ან ცეცხლით დაზარალდა და სხ.) არ გადაიხადა ვალი, ამხანაგობას შეუძლიან ადროვოს კიდევ ექვსი თვით და ზოგჯერ ამაზე მეტი ხნითაც.

ბ; შუამავლობა

უმთავრესი მიზანი ამხანაგობისა არის სესხის გაცემა, მაგრამ არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს შუამავლობის გაწევასაც. თუ ამხანაგობა მარტო სესხს გასცემს და ამასთანავე დარიგებას, ან შუამავლობას არ გაუწევს წევრებს, ამხანაგობა ვერ დაიმსახურებს ხალხში სახელს და ვერ მოიზიდავს, ახალს წევრებს. ამიტომ საჭიროა მან მიჰყოს ხელი შუამავლობის გაწევას. წესდებით ამხანაგობას შეუძლიან შუამოვლობა გაუწიოს როგორც ერთ წევრს, ისე რამდენიმეს ერთად. ამხანაგობა პირველად შუამავლობას ეწევა მხოლოდ წევრების ფულით, ე. ი. წევრებს შეაქვთ ფული და ამ ფულით ამხანაგობა ასრულებს ამა თუ იმ დავალებას, შემდეგში კი, როცა ამხანაგობა მოგებიდან შაიგროვებს საშუამავლო თანხას, მაშინ ამხანაგობა ფართოთ მოჰკიდებს ხელს შუამავლობას.

საკრედიტო ამხანაგობას ნება აქვს აწარმოვოს შემდეგი საშუამავლო საქმეები:

ა. იყიდოს თავის წევრთათვის სასოფლო-სამეურნეო იარაღები (მაგ. გუთნები, ნამგლები, ცელები და სხვა) და კარგი ჯიშის შინაური ცხოველები და ფრინველები. ასე ყიდვა იმითია სასარგებლო წევრთათვის, რომ უფრო იაფად ჯდება. რადგანაც ამხანაგობა ერთბაშად ბლომად ყიდულობს, ამიტომ მას შეუძლიან გამოიწეროს საქონელი პირდაპირ ქარხნიდგან ან დიდი საწყობიდან, რომელნიც უფრო ხაკლებათ დაუთმობენ, ვიდრე ადგილობრივი ჩარჩი ვაჭრები.

ბ. იარაღების გარდა ამხანაგობას შეუძლიან იყიდოს თავის წევრთათვის თესლი, გაუმჯობესებული ჯიში ხეხილისა ან წამალი ვენახის შესაწამლად, მინერალური სასუქები ზეადგის გასაპატივებლად და სხვა. შეუძლიან გამართოს კითხვა-საუბარი სასოფლო მეურნეობაზე, მოიწვიოს ინსტრუქტორი ამა თუ იმ სასოფლო მეურნეობის დარგის ახსნა-სწავლებისათვის და სხვ.

გ. ამხანაგობას შეუძლიან დაეხმაროს წევრებს მათ ნაწარმოების გაყიდვაშიაც. ეს უკანასკნელი მხარე შუამავლობისა მეტად სასარგებლოა თუ ამხანაგობა ამ საქმეს კარგათ მოაგვარებს, მით ბევრს შეჰმატებს თავის წევრებს, რადგანაც მაშინ მომეტებული ნაწილი წევრების ნაშრომ-ნაოფლარისა ისევ მათვე დარჩებათ და არა ჩარჩ ვაჭრებს. დღეს ყველასთვის ცხადია, თუ როგორ ჩალის ფასათ ჰყიდის გლეხი თავისნაწარმოებს. ხშირად გლეხი თავის მოსავალს გაჭირვების გამო მაშინ ჰყიდის როცა ჯერ არც კი დაუბინავებია. ქართლელი გლეხი თითქმის იანვარშივე ჰყიდის თბილისელ ბაყალზე თავის ხილს. კახელი გლეხი გაზაფხულზედვე იღებს სირაჯისაგან ღვინის ბეს, რომ წამალი იყიდოს ვენახის შესაწამლად.

ამის გამო გლეხი მოვალეა თავისი ხილი აწ ღვინო მიჰყიდოს უეჭველად ბეის მიმცემს, რომელიც ნათლიმამობით და სხვადასხვა ხრიკებით ჩალის ფასად იგდებს ნაწარმოებს ხელში.

ამავე მდგომარეობაშია მეცხვარეც. მასაც აქვს სხვადასხვა გაჭირვების წუთი ან საბალახე აქვს მისაცემი, ან ბინა აქვს გასაკეთებელი და სხვა ამის გამო მეცხვარეც წინადვე ჰყიდის თავისი ცხვრის მატყლს მემატყლეზე და იღებს ბეს, რის გამოც იგი იძულებულია მისცეს მატყლი იმ ფასში, რომელსაც მემატყლე დაუნიშნამს. ეს ასეც უნდა იყოს, რადგანაც ჯერ ერთი მემატყლეს დავალებული ჰყავს გულკეთილი მეცხვარე ხელის გამართვით და მეორეც შემდეგში გაჭირვების დროს აღარ მისცემს ბეს წინათვე და ხელს აღარ გაუმართამს. ამ რიგად დღეს გლეხი მთლად ჩარჩ-ვაჭრების ხელშია შებოჭილი. გლეხი ჩავარდნილია ჩარჩის ხელში ჯერ ერთი იმიტომ, რომ საჭიროების დროს ვერ უშოვია იაფი სესხი და მეორეც მიტომ, რომ არა აქვს ცოდნა გამოცდილება. საკრედიტო ამხანაგობას შეუძლიან დაეხმაროს გლეხებს და სესხის მიცემით გაანთავისუფლოს ვაჭრების კლანჭებისგან. ამხანაგობა მისცემს სესხს, რათა გლეხმა თავი გამოიკვებოს ახალ მოსავლამდე, იყიდოს წამალი ვენახის შესაწამლად და სხვა., თავის მოსავალს კი გაჰყიდის ბაზარზე იმ ფასად, რა ფასიც ექნება.

ამხანაგობას თავის წევრებს, როგორც ზევითაცა ვსთქვი, ეხმარება ნაწარმოების გაყიდვაშიაც. შეუძლიანთ წევრებს მიიტანონ თავიანთი ნაწარმოები და დაავალონ ამხანაგობას მისი გაყიდვა. ეს ნამეტნავად ხელსაყრელია გლეხებისთვის, როცა ამა თუ იმ მეურნეობის დარგის ნაწარმოები ცოტა აქვს. ასეთ შემთხვევაში გლეხს საქონელი ბაზარში არ გამოაქვს, რადგანაც აღებული ფულით, ხარჯსაც კი ვერ დაჰფარამს და დროს ტყუილად დაჰკარგამს. ამხანაგობის საშუალებით გაყიდვის დროს კი არც ბევრი დაეხარჯება და არც მოსცდება. რადგანაც შეიძლება საქონელი ბევრი მოგროვდეს, ამიტომ ამხანაგობა გამართამს მსხვილ ვაჭრებთან მოლაპარაკებას და რომელიც უფრო მეტს მისცემს მას მიჰყიდის. ასეთი გაყიდვა მუდამ უფრო სახეიროა წევრთათვის, რადგანაც ჯერ ერთი მსხვილი ვაჭარი უფრო პირიანად ყიდულობს, ვიდრე ჩარჩი ვაჭარი და მეორეც წევრები ასცდებიან ამ უკანასკნელების მოტყუებას.

ასეთ შუამავლობის გაწევის დროს ამხანაგობას აქვს ცოტა ხარჯი, ამიტომ აღებული ფულიდან ცოტაოდენ ნაწილს (საკომისიოს) იტოვებს ხარჯის დასაფარავად.

ამხანაგობას შეუძლიან იქონიოს სასოფლო-სამეურნეო იარაღების საწყობი, საიდანაც წევრები იყიდიან საჭიროების დროს როგორც ნაღდზე, აგრეთვე ნისიათ. ვაჭრობისათვის ამხანაგობა მხოლოდ მაშინ იხდის სავაჭრო გადასახადს, როდესაც საწყობის თანხა იქნება ათას თუმანზე მეტი.

როგორც ზევითაცა ვსთქვი, შუამავლობა შეადგენს ერთს უმთავრეს ამხანაგობის საქმეთაგანს. თუ ამხანაგობა შუამავლობას არ გაუწევს თავის წევრებს, მისი საქმე ვერ წავა კარგათ და ვერ `გაითქვამს ხალხში სახელს. წინააღმდეგ, როცა შუამდგომლობას გაუწევს, ამხანაგობა მალე დაიმსახურებს ნდობას და მალეც გავრცელდება, მხოლოდ ეს კია შუამავლობისათვის მომზადებაა საჭირო. ამის შესრულება ადვილი არ არის, ნამეტნავად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოუცდელისთვის, ამიტომ საჭიროა მომზადება და მხოლოდ მაშინ დაწყება ამ საქმისა. შუამავლობა ნამეტნავად ართულებს ანგარიშის წარმოებას, ამიტომ ამხანაგობის ანგარიშის მწარმოებელი დიდის ყურადღებით უნდა მოექცეს მას და კარგად შეისწავლოს საშუამავლო ოპერაციები. თუ საჭირო ცოდნა არ ექნება და ისე მოჰკიდებს ხელს, ანგარიში აერევ-დაერევა და ეს კი მეტად ცუდია ამხანაგობისათვის რადგანაც საქმეების აწეწ-დაწეწვა აფრთხობს ხალხს და ადვილად აღარ ეწერებიან წევრებათ.

გ) ფულის შენახვა-შეგროვება

მესამე უმთავრესი მიზანი ამხანაგობისა ყაირათობის გავრცელება არის წევრებ შორის, რათა ცოტ-ცოტა შეაგროვონ ფული შავი დღისთვის. წევრს შეუძლიან ფული თითო შაურობითაც კი შეიტანოს ამხანაგობაში შესანახად და მერე გამოსაყენებლად. მშობლებს შეუძლიანთ ასე წვრილწვრილათ შეაგროვონ ფული ქალისთვის ქრთამად და მზითვების დასამზადებლად შვილების სწავლში მისაცემად; ხანში შესულებს შეუძლიანთ შეაგროვონ სამარხი და სხვა.

ამხანაგობაში ფულის შეტანა კიდევ იმით არის კარგი, რომ ამხანაგობა შემტანს ფულში სარგებელსაც აძლევს. სარგებლის გადაწყვეტა დამოკიდებულია ამხანაგობაზე. შეუძლიან მას მისცეს სარგებელი თუმანში თვეში ერთი შაური ან მეტი. ფულის შეტანა ყველას შეუძლიან როგორც წევრებს, ისე გარეშე პირს. ფულის გატანა სესხათ შეუძლიანთ მხოლოდ წევრებს.

ფულის შეტანა ამხანაგობაში შეიძლება ვადით ან რომელიმე გარდაწყვეტილი მაგ. სრულწლოვანობამდე, გათხოვებამდე, სიკვდილამდე და სხვ. ფულის შემტანს ეძლევა პატარა წიგნაკი, რომელშიაც იწერება შეტანილი ფული და პირობა.

ფულის შეტანა შესანახად სასარგებლოა როგორც ფულის შემტანთათვის, აგრეთვე ამხანაგობისათვის. შეტანილი ფულს ამხანაგობა სხვა თანხებთან ერთად ასარგებლებს და მით მოგება რჩება. რაც ბევრი იქნება შესანახად შეტანილ ფული, იმდენი კარგია ამხანაგობისათვის. საუბედუროთ წესდებით შეტანილი ფულის და საწარმოვო საშუალებათა გასაძლიერებლად აღებული სესხის რაოდენობა განსაზღვრულია. იგი არ უნდა აღემატებოდეს ათჯერ მეტად ამხანაგობას ძირითად თანხას. თუ მაგალითად ამხანაგობას ძირითად თანხად აქვს 10.000 მანეთი, შესანახად შეტანილი ფული და ამხანაგობის მიერ აღებული სესხი უნდა უდრიდეს 10.000 მანეთს. ამაზე მეტის აღება ამხანაგობას წესდებით აკრძალული აქვს.

5. ამხანაგობის თანხები

საკრედიტო ამხანაგობას წესდებით უნდა ჰქონდეს ძირითადი თანხა, რომელიც არ შეიძლება იყოს 100 თუმანზე ნაკლები. ძირითადი თანხა შეადგენს ამხანაგობის საწარმოვო თანხას, ამ თანხით იწყობს იგი მოქმედებას. ძირითად თანხას საკრედიტო ამხანაგობას აძლევს სახელმწიფო ბანკი სესხათ 13 წლის ვადით. ამ სესხს ჰქვიან სახელმწიფო ბანკის გრძელ ვადიანი სესხი. ამხანობა ამ სესხში იხდის 6%-ს, ანუ თუმანში თვეში ერთი შაურს. სარგებელს იხდის ყოველი წლის ბოლოს, თავნის გადაწყვეტას კი იწყებს

მეხუთე წლიდან წვრილ-წვრილად. მე-5 და 6-ე წელიწადს იხდის სესხის 1/20 ნაწილს, მე-7, 8 და 7—1/10 ნაწილს და მე 10, 11, 12 და 13 წლებში 3/20 ნაწილს.

როგორც სარგებელს, აგრეთვე სახელმწიფო ბანკის სესხს ამხანაგობა იხდის თავის მოგებიდან. ამხანაგობას, როგორც ზევითაცა ვსთქვი, აქვს მოგება, რომელსაც შეადგენს ამხანაგობის მიერ გაცემულ სესხში აღებული სარგებელი. ამხანაგობა იხდის თუმანში ერთ შაურს, თვითონ კი, მაგალითად, ახდევინებს ორ შაურს. აქედან იმოდენა მოგება რჩება ამხანაგობას, რომ სახელმწიფო ბანკის სესხში სარგებელსაც იხდის და თავნსაც სწყვეტავს.

როდესაც ამხანაგობას შეაქვს სახელმწიფო ბანკში თავნის გადასაწყვეტი ხვედრი ფული, მას უნდა ჰქონდეს იმდენივე ან ნაღდი ფული, ან სესხად გაცემული რომ შეავსოს ძირითადი თანხა, რომელიც არ შეიძლება შემცირდეს. თუ ამხანაგობას სახელმწიფო ბანკიდან ნასესხები ძირითადი თანხათ ექნება 100 თუმანი, მეხუთე წელს შეიტანს 1/20 ნაწლს, ანუ ხუთ თუმანს. იმავე დროს ამხანაგობამ უნდა გადასდოს 5 თუმანი ძირითადი თანხის შესავსებლად. ეს ნაწილი ძირითადი თანხისა იქნება ამხანაგობის საკუთარი თანხა. შემდეგ წლებშიაც ასევე იქცევა ამხანაგობა, ე. ი. რამდენიც სახელმწიფო ბანკში შეაქვს სესხის გადასაწყვეტად, იმდენსავე სდებს საკუთარ ძირითად თანხად, ასე რომ 13 წლის შემდეგ, როცა ამხანაგობა გაისტუმრებს სახელმწიფო ბანკის გრძელ ვადიან სესხს, მას უკვე ექნება საკუთარი თანხა.

ს. კახელიძე

(დასასრული იქნება)

მიიღება ხელის-მოწერა ჟურნალ

წელიწადი მესამე **„მოსავალზე“** წელიწადი მესამე

1911 წლისათვის.

ჟურნალი გამოის იმავე პროგრამით. ღირს წლიურად **3** მანეთი.

იყიდება აგრედვე 1909 წლის „მოსავალის“ ნომრები ოდა-კაზმული 2 მან. და 1910 წლის უფრო 3 მან.

რედაქ.-გამომცემელი ვ. ი. რცხილაძე

Библіотека * Тифлисъ